საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030174076653619

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15772 **06 / სექტემბერი / 2019 წ.**

სამედიცინო დაწესებულებებს

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი ყველა ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში. ამავდროულად, 2019 წლის 1 სექტემბრამდე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ინფორმაცია გადაეცათ მხოლოდ სახელმწიფო პროგრამით იმ მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მკურნალობას გადიოდნენ სტაციონარულ რეჟიმში. 1 სექტემბრიდან ბრძანების მოქმედება ვრცელდება, ასევე, სტაციონარულ დაწესებულებების ფარგლებში განხორციელებულ ამბულატორიულ შემთხვევებზეც (მაგ.: დღის სტაციონარი და სხვ.).

მოგეხსენებათ, აღნიშნული პროექტი საქართველოსთვის არის ინოვაციური. შესაბამისად, ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემის დანერგვის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან შესაბამისი სერვისების მიმწოდებლებისთვის. დეტალური ინფორმაცია ტრენინგების შესახებ მომავალ კვირას განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.moh.gov.ge).

ამასთან, გაცბობებთ, რომ ტრენინგები ჩატარდება თბილისსა და რეგიონებში. კერძოდ, თბილისში ტრენინგები ჩატარდება თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში არსებულ, სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ ამბულატორიული სერვისების მიმწოდებლებისათვის.

იმედი გვაქვს, აქტიურად ჩაერთვებით საქართველოში ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემის დანერგვის პროცესში.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია